

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

„საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის მიზეზია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რეორგანიზაცია და მისი ფუნქციების გადანაწილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ სხვადასხვა ერთეულებს შორის.

გარდა ამისა, ურგენტული და ამბულატორიული პროგრამების განხორციელება აღარ იგეგმება, შესაბამისად, აღარ დგას ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან თანხების სახელმწიფო ფონდში გადმოცემის საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონში ცვლილებების შეტანის მიზანია ზემოხსენებული რეორგანიზაციის შედეგების საკანონმდებლო აქტებზე ასახვა და შესაძლო შეუსაბამოებების აღმოფხვრა. ასევე, ისეთი საკანონმდებლო ხარვეზების გასწორება, რომლებიც აღარ შეესაბამება რეალობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

პროექტით კანონის მოქმედი რედაქციის დანართი №1-დან და დანართი №2-დან ამოღებულია 2.28.8 კოდეზი, რომლითაც განსაზღვრული იყო ურგენტული და ამბულატორიული პროგრამების განხორციელებისათვის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდში გადმოსაცემი თანხები.

კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის პროექტის მიღება არ მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონის პროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა მდგომარეობას რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ აღგენს მის განსაზღვრის წესს.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან, მათ შორის ევროკავშირის დირექტივებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან, საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონის პროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი წარდგენილია შესათანხმებლად ყველა დინტერესებულ უწყებასთან/

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი
კანონის პროექტი მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი
კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.